გ. იაშვილი, ვ. დათაშვილი, თ. მელქოშვილი

ელექტრონული მთავრობის ფორმირებისა და რეალიზაციის ორგანიზაციული ასპექტები

საკვანძო სიტყვები: ელექტრონული მთავრობა, სახელმწიფო მართვა, საინფორმაციო ტექნოლოგიები

გენადი იაშვილი – სტუ-ს პროფ.,
ვახტანგ დათაშვილი – სტუ-ს პროფ.,
თინა მელქოშვილი –
სტუ-ს დოქტორანტი

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე ტექნოლოგიური ძვრები უდიდეს გავლენას ახდენს მსოფლიო საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაზე, იწვევს გლობალურ სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს. ციფრული, საინფორმაციო და საკომუნიკაციო გამოგონებების სფეროში ტექნოლოგიური რევოლუციის ახალმა ტალღამ დაასრულა დასავლეთის ქვეყნებში ინდუსტრიული ეპოქა და ის პოსტინდუსტრიულ ეპოქად შეცვალა.

სწორედ ტექნოლოგიურმა ძვრებმა გამოიწვია განვითარებულ სახელმწიფოებში ციფრული დემოკრატიისა და ელექტრონული მმართველობის დამკვიდრება, განვითარებადი ქვეყნების პოლიტიკური სისტემები და მათი მმართველობის რეჟიმები კი ახალი გამოწვევებისა და ამოცანების წინაშე დააყენა.

ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ საქართველოში, ისევე როგორც ყველა სხვა დანარჩენ ქვეყნებში, გამოიწვია თვისობრივად ახალი - ეფექტიანი, მოქნილი, გამჭვირვალე და საზოგადოებაზე ორიენტირებული მთავრობის - ელექტრონული მთავრობის შექმნის აუცილებლობა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის ზრდას საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების გზით, ასევე მოქალაქის როლის გაძლიერებას სახელმწიფოს მართვის პროცესში. ამდენად, სტატია არის აქტუალური. იგი მოიცავს ჩვენს ქვეყანაში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის საკითხების შესწავლას როგორც ქვეყნის სახელმწიფო მართვის, ასევე რეგიონული მართვის ორგანოებში. პროექტში დაგეგმილია ელექტრონული მთავრობის შექმნის პრობლემების კვლევა შიდა ქართლის რეგიონში, სადაც მოქალაქეთა როლის გაძლიერება სახელმწიფო მართვის სისტემაში კიდევ უფრო შეფერხებულია ბოლო წლებში იქ მიმდინარე მოვლენების გამო.

საქართველოში ელექტრონული მთავრობის ინსტიტუციონალური უზრუნველყოფის საფუძვლებში მოიაზრება ელექტრონული მმართველობის სისტემის ყველა - ცენტრალური, რეგიონალური და მუნიციპალური დონის ორგანოების მოდელების შექმნა, რომელთა შორის განსაზღვრული და გარკვეული იქნება კომპეტენციები, ურთიერთკავშირები და ურთიერთქმედების მექანიზმები. მასში ასევე იგულისხმება ელექტრონული მმართველობაზე დაფუძნებული საჯარო სამსახურის ლოგიკური მოდელის ჩამოყალიბება, რომელიც გულისხმობს საჯარო სამსახურის სტრუქტურის ფუნქციებთან და კომპეტენციებთან ლოგიკური კავშირის, საჯარო მოსამსახურეების საქმიანობის და შესაბამის პროცედურათა ალგორითმის, საჯარო სამსახურში მიღებისა და სამსახურის გავლის რაციონალური წესების, ელექტრონული მთავრობის საქმისწარმოების სტანდარტების და ა.შ. დაწესებას.

აღსანიშნავია, რომ ელექტრონული მთავრობის რეალიზების გზაზე არსებობს რიგი ბარიერები და გამოწვევები, რომლებიც სწორედაც, რომ ისეთი ინსტიტუციონალური ფაქტორებით არის განპირობებული, როგორებიცაა: გამოწვევები IT მოწყობილობების გამოყენების გზაზე; სირთულე კომუნიკაციურ პროცესში; საზოგადოებრივი სექტორის სისუსტეები; მოძველებული სისტემა; IT ინფრასტრუქტურის კონსტრუქცია; უსაფრთხოების მექანიზმების ხელშეწყობა; ინტეგრირება; ელექტრონული მთავრობის ინტეგრაციის ტექნოლოგიური სირთულეები, შეზღუდვები ელექტრონული მთავრობის პარამეტრების, ფუნქციების, სტანდარტების, ხარისხის შეფასების მეთოდებისა და მაჩვენებლების შემუშავებასა და განსაზღვრაში; მუდმივი ელექტროენერგიის, ტელეკომუნიკაციის, ინტერნეტწვდომის, საიმედო ტექნიკური უსაფრთხოების კონტროლის განხორციელების, პერსონალური კომპიუტერის ტექნიკური სერვი-

სის საჭიროებისას IT ცენტრების მომსახურების სირთáლეები და წინააღმდეგობები.

საქართველოში ელექტრონული მთავრობის ინსტიტუციონალური განვითარების მიმართულებით მუშაობის განხორციელებისათვის გარკვეული საფუძვლები უკვე შეიქმნა, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა ამ კუთხით მუშაობის გააქტიურებისათვის. კერძოდ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში შექმნილია კავშირგაბმულობის, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დეპარტამენტი, რომელის პირდაპირი ფუნქცია არის ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა, ასევე სამეცნიერო-ტექნოლოგიური ინოვაციების სფეროს განვითარებისა და სრულყოფის სტრატეგიის, პროგრამების, კიბერ და საინფორმაციო უსაფრთხოების პოლიტიკის, ქვეყანაში საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განვითარების პოლიტიკის შემუშავება, ელექტრონულ მმართველობასთან დაკავშირებული პროექტების განხორციელებაში მონაწილეობა და მონიტორინგი; ელექტრონული სერვისების, ელექტრონული კომერციის, ინტერნეტ კონტენტის მიმართულებით შესაბამისი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის, განვითარების მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგიისა და პრიორიტეტის განსაზღვრა და მათზე დაფუძნებული პროგრამების შემუშავება, ქვეყანაში ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებების, ინფორმატიზაციის განვითარების, სრულყოფისა და ფუნქციონირების კოორდინაცია.

სახელმწიფოს საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვასა და ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების საშუალებით სახელმწიფოს გამართულ ფუნქციონირებას ხელს უწყობს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ **„სმართ ლოჯიქი“ და** საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სსიპ **„მონაცემთა გაცვლის საგენტო“, რომლის** მთავარი მიზანი ელ-მმართველობის განვითარებაა. სააგენტო მოწოდებულია, ჩამოაყალიბოს მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოს ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის გატარება კიდევ ერთი უწყება, რომელიც ამავე სამინისტროს ფარგლებში საქრთველოში ელ-მთავრობის განვითარებას უწყობს ხელს არის **სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო.**

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიზანს წარმოადგენს საქართველოში ელექტრონული მმართველობის განვითარების საკითხების კოორდინირება, მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის შექმნა, ერთიანი სამთავრობო ქსელის ჩამოყალიბება და მონიტორინგი, საჯარო სექტორში ინფორმაციულ და საკომუნიკაციო სფეროსთან დაკავშირებული სტანდარტების შემუშავება, ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბება და მისი გატარება. მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ფუნქციები სამ ძირითად მიმართულებად იყოფა: ელექტრონული მმართველობა; მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურა; ინფორმაციული უსაფრთხოება.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ფუნქცია ზოგადად არის სახელმწიფო მომსახურების განვითარების ხელშეწყობა, ინოვაციური სერვისების დანერგვა საჯარო სექტორში, მოსახლეობის რეესტრის წარმოება და მუდმივი სრულყოფა, მასთან დაკავშირებული დოკუმენტების გაცემა. სერვისების განვითარების სააგენტოს ფუნქციებიდან გამომდინარე, სააგენტო მონაწილეობს ელექტრონულ მთავრობის განვითარებასთან დაკავშირებული ისეთი პროექტები როგორიცაა: ელექტრონული მმართველობის დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში, რომლის შედეგიც იქნება თვითმმართველობებში საქმისწარმოების, მათ შორის მომსახურების გაწევის სტანდარტიზება ოპტიმიზაცია და გამჭვირვალობა და საზოგადოებრივი ცენტრის განვითარების პროექტი, რომლის ფარგლებშიც შენდება მრავალფუნქციური ცენტრები. აქ ადგილობრივ მოსახლეობას სოფლიდან გაუსვლელად მიეწოდება სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო სერვისები; ასევე, გამოყოფილია სივრცე საზოგადოებრივი ჩართულობის ხელშესაწყობად.

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის პროცედურების გამარტივება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად გამოიყენება თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემები, რომელებიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს სახლიდან თუ სამუშაო ადგილიდან გაუსვლელად დისტანციურად, ერთი ფანჯრის პრინციპით ისარგებლოს სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქრურების მომსახურებით. ამ მიზნით შეიქმნა მოქალაქის პორტალი my.gov.ge, სადაც მოქალაქეს შეუძლია სხვადასხვა მომსახურების მიღება ახალი პირადობის მოწმობის გამოყენებით ან მომხმარებლის სახელისა და პაროლის მეშვეობით. მოქალაქე დისტანციურად, მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან, სახლიდან ან ოფისიდან გაუსვლელად რამდენიმე მარტივი კომბინაციის განხორციელებით მიიღებს სხვადასხვა სახის მომსახურებას - იქნება ეს პიროვნებასთან (პასპორტი, სხვადასხვა სახის მოწმობები, გვართან დაკავშირებული საინტერესო ინფორმაცია), ქონებასთან, სოციალურ მომსახურებასთან, ჯანდაცვასთან ან ბიზნესის წამოწყებასთან დაკავშირებული პროცედურები თუ კომუნალური, სხვადასხვა სახის ჯარიმებისა და სხვა გადასახდელების გადახდა.

მნიშვნელოვანია მოქალაქის პორტალის რო-

ლი ღია მმართველობის ინიციატივის განხორციელების მიმართულებითაც. პორტალზე განთავსებულია შესაბამისი სექცია, რომლის მეშვეობითაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებიდან ელექტრონულად გამოითხოვოს საჯარო ინფორმაცია და პასუხიც პორტალზევე მიიღოს.

მოქალაქის პორტალის შექმნით საქართველო ჩადგა მსოფლიოს ტექნოლოგიურად მაღალგანვითარებული ქვეყნების რიგში. მოქალაქის პორტალი არის საუკეთესო საშუალება იმისთვის, რომ მაქსიმალურად გამარტივდეს მოქალაქეს, ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა და ეს ურთიერთობა იყოს მაქსიმალურად მარტივი, კომფორტული და უსაფრთხო.

ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე შეიქმნა ინფორმაციული სისტემების ერთიანი სახელმწიფო რეესტრი. იგი არის რეესტრის სუბიექტის მონაცემთა ბაზების, რეესტრების, მომსახურებისა და ინფორმაციული სისტემების ერთიანი კატალოგი, რომლის მიზანია საქართველოს საჯარო სექტორში არსებული საინფორმაციო რესურსების აღწერა, ინფორმაციასთან მუშაობის ერთიანი სტანდარტების დადგენა, ინფორმაციული სისტემების კოორდინაცია და თანამიმდევრული განვითარების ხელშეწყობა, აგრეთვე ერთიანი ინფორმაციული პოლიტიკის ხელშეწყობა და საჯარო რესურსების ეფექტიანად გამოყენება.

საქართველოში ელექტრონული მმართველობის დანერგვის და განვითარების ინსტიტუციონალური უზრუნველყოფის მიმართულებით გაწეული მუშაობა არასაკმრისია. ხოლო საერთო ეროვნული მასშტაბით ელექტრონული მთავრობების შექმნა, ანუ ყველა დონის (ცენტრალური, რეგიონალური და ადგილობრივი) და დარგის მმართველობის ორგანოების და საჯარო დაწესებულებების მასობრივი გადაყვანა საქმიანობის საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზაზე წარმოების პრინციპზე, ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან უმნიშვნელოვანესი და კოპლექსური ხასიათის პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება გულისხმობს ისეთ საკვანძო მიმართულებებს, როგორიცაა ინფორმატიზაციის სახელმწიფო პოლიტიკა; მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის სახელმწიფო პოლიტიკა; რაციონალური საჯარო სამსახურის შექმნის სახელმწიფო პოლიტიკა.

ამრიგად, საქართველოში ელექტრონული მთავრობის დანერგვა საჭიროებს ინსტიტუციური გარემოს ცვლილებებს, კონკრეტული სამთავრობო უწყების მიერ ცენტრალურ, რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეებზე სისტემის ტრანსფორმაციის პროცესის ხელმძღვანელობას და კოორდინაციას; საინფორმაციო უსაფრთხოების სისტემის, მონაცემთა ინტეგრირებული ბაზის, საჯარო წვდომის IT ინფრასტრუქტურის შექმნას და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო , იხ. ბმულზე** http://www.economy.ge/ge/home,

2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი, იხ. ბმულზე: http://www.justice.gov.ge/Page/index/?code=3cb9948b-d9bf-486b-ad7f-d53aa6566660.

3. საქართველოს კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მონაცემთა გაცვლის სააგენტოს შექმნის შესახებ, იხ. ბმულზე: http://dea.gov.ge/uploads/legal_acts/1/monacemta%20gacvlis%20saaagento_geo.pdf

4. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, იხ. ბმულზე http://sda.gov.ge/ka-GE/About-Agency/.

5. საქართველოს ინფორმატიზაციის სახელმწიფო კონცეფცია, იხ. ბმულზე: http://www.lsg.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=46&info_id=15

6. ელექტრონული მთავრობა საქართველოსათვის: არსი, აქტუალობა, შექმნის პერსპექტივები და შესაძლებლობანი, იხ. ბმულზე: http://www.lsg.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=46&info_id=1084

7. **ელექტრონული მმართველობის განვითარების ხელშემწყობი სამთავრობო კომისიის დებულება, საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებ-გვერდი -** http://www.government.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=95&info_id=1365

ФОРМИРОВАНИЕ И РЕАЛИЗАЦИЯ ОРГАНИЗАЦИОННЫХ АСПЕКТОВ Е-ПРАВИТЕЛЬСТВА

ГЕНАДИЙ ЯШВИЛИ - профессор ГТУ
ВАХТАНГ ДАТАШВИЛИ - профессор ГТУ
ТИНА МЕЛКОШВИЛИ - докторант ГТУ

Проведенная работа по внедрению и распрастранению институционального обеспечения электронного правительства в Грузии не достаточна. Создание электронного правительства в общем национальном масштабе, т.е. на всех уровнях (центральном, региональном и местном), сферах органов управления и общественных учреждений, перевод деятельности на принцип массовой базы информационных технологий, принятие со стороны центрального правительства важных и комплексных политических решений, подразумевают три важных направления. Эти направления: информационная государственная политика; государственная политика децентрализации системы правления; государственная политика создания рациональной общественной службы.

Таким образом, для успешного внедрения в Грузии электронного правления необходимо изменение институцианальной среды, координация и руководство конкретными правительственными ведомствами на центральном, региональном и муниципальном уровне, контроль за процессом трансформации системы; информационной системы безопасности, интегрированной базой данных, создание инфраструктуры общественной доступности IT и т.д.

FORMATION AND IMPLEMENTATION OF E-GOVERNMENT'S ORGANIZATIONAL ASPECTS

GENADI IASHVILI - professor of GTU
VAKHTANG DATASHVILI - professor of GTU
TINA MELQOSHVILI - PhD student of GTU

There job done for establishing and developing institutional frameworks of electronic governance in Georgia is not enough. Establishment of electronic governance at the national level implying movement of all governing bodies (central, regional and local) and public services on electronic way of working demands from the central government complex decisions at least in three directions. These are: state politics concerning information technologies; state politics of decentralization; state politics of establishing rational public services.

So, the establishment of electronic governance in Georgia needs changes in the institutional system, coordination of the process at the central, regional and municipal levels, establishment of informational security system, integrated data system, IT infrastructure and so on.